



# საქართველო ფურცელი

საქართველოს ენციკლოპედია

გვერდი № 268

ლაგატი № 48

კვირა, 26 აპრილი 1915 წ.



† ნიკო ლომოშვილი.  
(1852—1915).

## ნიკო ლომოშვილის ხსოვნას

კიდევ სიმწარე, კიდევ გოდება,  
კვლავ ცრემლთა დენა, კვლავ გლოვის ზარი;  
ბნელმა სიკვდილმა კიდევ წაგვართვა  
ხალხის მოყვარე და მეგობარი.  
კვლავ შეიმოსა მანდილ-ძაძებით  
ლიახვი, მტკვარი და გორისჯვარი.

გოგებაშვილთან როდი იკმარა,  
რომ გამოგეტაცა ხახანაშვილი,  
იმათთან ერთად წაგვართვა ნიკოც,—  
კაცი გულთბილი და ენა ტკბილი.

სიკვდილო, ძვირფას ხალხს რომა გეტაცებ  
ნეტავი გული არ გეურჩება?  
გვითხარი მკაცრო და უღმობელო  
სამაგიეროთ ჩვენ ვილა გვრჩება?!

და ვისაც გულობ იმათ მაგიერ  
განა ისინიც აქა რჩებიან,  
შავს ყორნის ფრთებ ქვეშ გამომწყვდეულნი  
შორს ბრძოლის ველზე იხოცებიან...

ნიკო, დამრია ხელი სიმწარემ,  
წინ ამიყუდა ფიჭვის გორები,  
მაგრამ „ქაჯანას“ ბედი მამხნევებს  
მის სახით მუდამ გეამბორები.

ალარ იტირებს კუდრაჭა კატო,  
რაკი ძმას ენა აადგმევინე;  
ხალხის გულისთვის წმინდა გიორგის  
რაც არ უნდოდა ის ათქმევინე...

შიო მღვიმელი.



პრაპორ. ივ. გეგელაშვილი  
(მომქმედ ჯარში სახადისაგან  
გარდაიცვალა).



პოდპორ. ალექსანდრე დიდებუ-  
ლიძე (დაჭრილი).



პოდპორ. ალექსანდრე გიგაური  
(დაჭრილი).



ჯ.-კ. გიგო ქურხული  
(დაჭრილი).

# ს ე ვ ლ ე

გადავივიწყე რაც იყო წინეთ,  
თვით მეც გადავიქეც სრულ დავიწყებად;  
მხოლოდ სევდა კი — წარმოიდგინეთ —  
გულში მიწყევია წყებად და წყებად.

გადავივიწყე ახალგაზღვრი  
კისკას-ლულუნი, განცხრომა, შვება;  
მხოლოდ სევდა კი, სევდა მაცდური,  
ალარ მივიწყებ... ალარ მეშვება...

ი. გრიშაშვილი

## მე რათ მინდა...

მე რათ მინდა გაზაფხული, —  
მისი მოსვლა მე რას მარგებს?  
სიცოცხლეს ვერ აათრთოლებს,  
ვერ ამიწყობს ჩანგზე ჰანგებს!

გულს მიკლავენ ყვავილებიც,  
მათი გაშლა არ მახარებს,  
და ჩანჩქერიც, კლდის ჩანჩქერიც,  
შორიდანა მწყვეტავს თვალებს.

ველარ გავალ ჭრელ მინდორზე,  
რომ მიყვარდა მთა ზურმუხტი,  
ხან წვერვალზე აურბენდი,  
ხან-კი ქედებს გაღუბტი!

მახსომს ერთხელ... ეჰ რათ მინდა,  
რომ ის წუთიც მოვიგონო,  
ახლა ეხლა ყვავილები  
ვის მივართვა, რათ ავკონო!?

მაშ გაჩუმდი, მოგონებავ...  
გესმის? ტყეში მღერის ია,  
გადატეხილ ჩანგის ყელზეც  
ვარდს ცრემლები დაუღვრია!

ი. ევლოშვილი.

## მძინარე კატა

დასძინებოდა კატასა  
ადგილსა სახიფათოსა, —  
სადაც სალაშქრო გზა ჰქონდა  
თავგების მეფეს აათოსა.  
და მართლაც თავის ჯართა  
თავზე წაადგა ამ დროსა.  
კატა რა ნახეს თავებმა  
შავად აშალეს ჯაგარი.  
ყურ-აცქვეტილი ერთპირად  
ყალბზე დგებოდა ლაშქარი.  
ასე თქვეს: „თავზე დავესხნეთ,

„მოდი მივიდეთ ახლოსა.  
„ზოგი თუ მოკვდეს, ზოგებმა  
„მტრის ძლევით ლხინი ნახოსა!“  
მეფე განრისხდა: — ეგ ვინ სთქვა?  
თვალთ არ დამენახოსა, —  
ამიერიდან სიბრყვე  
ალარავინა ჩმახოსა!  
გზა შაკრული გვაქვს, ვერ გავალთ  
ჩვენ ჩაბალხეთის ახოსა —  
თუ არ ეცადა ჩვენგანი  
გზა სხვაფრივ გაიკაფოსა —  
ყველამ, რომ კატა მძინარა  
ზედ ხტომით გადალახოსა.  
ამიტომ ყველა თქვენგანმა  
ჩოხები აიკვალთოსა.  
როცა გიყვილოთ: ურაო!  
ეცადოს, გაისარჯოსა!  
და თუ მძინარა ბატონი  
შეძრწუნდა ჩვენის ხტომითა, —  
გამოიღვიძა, მაშინ კი  
უნდა დაუხვდეთ ომითა.  
ხის ხმლით ქვასა ჰკვეთს მამაცი, —  
კაცი მედგარის შრომითა.  
ჩვენც კლანჭები გვაქვს, კბილები  
მტერს დია შავეწონვითა.  
თუ გული შეგვრჩა და კატას  
სისხლი ვადინეთ კლანჭითა  
თითო წვეთობით მერწმუნეთ  
მოკვდება ღმეჭა-პრანჭვითა.  
მაშინ, იცოდეთ, დასტკებთ  
თქვენის მოსისხლის ტანჯვითა.  
აბა, მაშ ურა, მამაციად  
და ვაჟაკურად ეცითა! —  
დაიძრა ჯარი თავგისა  
მზესა მოსტაცა შუქია  
იმათ კლანჭების ცემითა  
ცამდე ავარდა ბუქია.  
ვინაც შეასწრო იმ დროსა  
თავები ფრიად უქია.  
ყველამ თან გადაიყოლა  
თურმე მთლიანად ქურქია.  
გავიდენ სამშვიდობოსა  
დაჰკრეს ბუქსა და ნალარას,  
დააგუფუნეს სიმღერა  
ბედს უმღერიან ალარას  
უქებენ თავის მეფესა  
მხნეობა — ჭკუა, ჭალარას.  
ციცასაც ვაჰლვიძებიყო  
თქვენს მტერს რო ისა შფოთავდა  
ჰსინჯავდა თავთა ნაკვალევს  
გულს იმჯილავდა, ჰბოდავდა.  
იგლეჯდა თმას და უღვაშსა  
თავსა ალარა ჰზოგავდა.  
მხოლოდ-კი სამერმისოდა  
კლანჭებს ილესავს, — ჰლოკავდა.

ვაჟა-ფშაველა.




ჯ.-კ. გერვასი მახარაძე  
(მოკლულია).



ფელთფებ. ალ. ბოჭორიშვილი  
(მოკლულია).

ჯ.-კ. მიხაკო კონიაშვილი  
(დაჭრილია).



პრაპორ. მიხეილ ჯაფარიძე  
(დაჭრილია).

# ბ უ რ უ ს ი

პიესა სამ მოქმედებად.

მოქმედების პირები:

- დათა — ვეკილი 32 წლ.
- თეკლე — მისი ცოლი 26 წლ.
- ნესტორ — დათას ძმა, სტუდენტი 24 წლ.
- ბაბო — 17 წლ.
- პლატონ — დათას და ნესტორის მამა 57 წლ.
- გაბო — ახლად უნივერსიტეტ გათავებული 28 წლ.
- კოტე — ჩინოვნიკი 30 წლ.
- ბესიკო — მოსამსახურე.
- სტუმრები.

მოქმედება პირველი:

დავით სარდალიძის ბინა. სცენა სასტუმრო ოთახს წარმოადგენს. ფარდის ახდისას სიმღერა და მხიარულება. სცენაზე გაბო, კოტე და სხვა სტუმრები.

გაბო. მეგობრებო, დღეს ყველაფრით კმაყოფილნი ვართ, ერთი რამ გვაკლია მხოლოდ.

ხმები. აბა! აბა!...

გაბო. პიანინოზე დაკვრა.

ხმები. ბაბიკოს ვთხოვოთ, ბაბიკოს!..

გაბო. ბაბიკო ჯიუტი გოგოა, მაგრამ ჩემი ხათრი ძალიან აქვს და იქნებ დავაჯერო.

ხმები. ვთხოვოთ! უარს როგორ გვეტყვის! გაბომ სთხოვოს, გაბომ.

გაბო. ესთხოვ თქვენის მონდობილებით.

კოტე. ოღონდ დამარცხებული არ დაბრუნდე.

გაბო. ვეცდები. მაგრამ მარტო რად წავიდე. ყველანი გამომყვივით.

კოტე. ჰო, ისე როგორ შეიძლება. ბაბო ხომ წარჩინებული პირია.

ხმები. ჩვენც გავყვით! (გაბო და სტუმრები მიდიან. გაბო შეჩერდება კარებში მარჯვნივ).

გაბო. კოტე, შენ?

კოტე. მე და ბაბოს შორის კატამ გაირბინა, არ გამოგადგები. (გაბო და სტუმრები ვაფლენ).

კოტე. (ღივიანზე მიწვება და ნელს ხმით) „რა თვალბია, რა მალბია!...“

(შემოდინ ნესტორ და ბაბო).

კოტე. აა, მშვენიერი არსება. (ნესტორს ღიმილით ახედ-დახედ-დავს) თქვენთან დეპუტაცია გაემგზავრა, დიდი სათხოვარი საქმე აქვთ.

ბაბო. ჩემთან?

კოტე. დიახ, თქვენთან.

ბაბო. საკვირველია, რა უნდა მთხოვონ...

კოტე. ვერ გადმოგცემთ: ჩემთვის არ მოუნდვიათ, მაშ არც უფლება მაქვს. (ნელს სიმღერით გადის მარჯვნივ).

ნესტორ. როგორა ფიქრობთ, ბაბიკო, ეს ვაჟბატონი გვარიანი აქტიორი იქნებოდა რომელიმე პროვინციელ ცირკში.

ბაბო. რათა! კოტე ძალიან კარგი ადამიანია.

ნესტორ. ცირკში აქტიორობა სულაც არ ნიშნავს ცუდ ადამიანობას. მაგრამ, ეჰ, რა დროს კოტეზე ლაპარაკია. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩემზე. სულ ორი წელიწადია, რაც არ მინახავიხართ, ორი წელია, რაც რუსეთიდან არ დავბრუნებულვარ, და ბაბიკო კი უკვე გაზრდილა, დაქალებულა.

ბაბო. იცით, ნესტორ, თქვენ იმდენი მელაპარაკეთ რუსეთის ცხოვრებაზე, რომ მეც იქ წამოსვლის სურვილი აღმიძარით.

ნესტორ. ო, რასაკვირველია, ბაბო. განა ცოლდა არ იქნება, თქვენი მუსიკალური ნიჭი არ განავითაროთ.

ბაბო. თუ მამაჩემი დავითანხმე, უსათუოდ მოსკოვში წამოვალ.

ნესტორ. მით უფრო, რომ მეც იქ ვიქნები.

ბაბო. მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენც იქ იქნებით.

ნესტორ. და თუ მოსკოვში დარჩებით, მიზნად დავისახავ თქვენს დარაჯობას.

ბაბო. რა კეთილი ხართ...

ნესტორ. მე იქნებ მარტო კეთილი გრძნობით სულაც არ ვხელმძღვანელობდე...

ბაბო. მაშ რით? საკვირველია.

ნესტორ. (ღიმილით) არის სხვა გრძნობა, ბაბიკო, რომელიც გვაიძულებს მთელი ცხოვრება ვისმეს შევსწიროთ, ეს გრძნობა იქნებ ეგოისტურიც იყოს...

ბაბო. ვერ გამიგია...

ნესტორ. ამის გაგება, ბაბო, არც ისე ადვილია. გადავდოთ შემდეგისათვის.

ბაბო. ო, როგორ დამაინტერესეთ...

ნესტორ. მოსკოვში რომ ჩამოხვალთ, იქ უფრო გარკვევით გეტყვით. ეხლა კი... წავიდე ბაბო და მთვარეს ვუცქიროთ. მშვენიერი წყნარი ღამე, ირგვლივ იღუმალი სიჩუმე და ზევით, თვალუწვდენელ ცაში მოკაშკაშე, ბადრი მთვარე, (ღიმილით) როგორც პოეტები იტყვიან.

ბაბო. იცით, ნესტორ, ამას წინად „მთის შვილი“ წავიკითხე და, უნდა გამოგეტყდე, (თავს ჩაღუნავს) ვერაფერი გავიგე.

ნესტორ. მაინც როგორ მოგეწონათ? ამობენ, ავტორი დიდს იმედებს ამყარებდა მაგ მოთხრობაზე და გაზეთებმა კრიტიკა არ დასძრეს. ალბად ყურადღების ღირსი არ გახადეს.

ბაბო. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..

ნესტორ. საკვირველია, რა გაცინებთ?

ბაბო. (კვლავ კისკისებს).

ნესტორ. მართლა, ბაბო, რა ვთქვი სასაცილო?

ბაბო. თქვენ გგონიათ, რომ მე არ ვიცი, ვინ არის „მთის შვილის“ ავტორი?

**ნესტორ.** საიდან იცი? აბა ვინ არის?

**ბაბო.** თქვენი ბრწყინვალეობა. ჰა, ჰა, ჰა!

**ნესტორ.** ნუ თუ იცი! მე კი მეგონა რომ ფსევდონიმი მიმეცლიდა. რადგან ასეა, ერთი ზღაპარი მაქვს დასაწერი, იმის შინაარსს დაწვრილებით მოგიყვებით და, თუ თქვენ მოიწონებთ, იმასაც დავბეჭდავ.

**ბაბო.** ო, რა მოხარული ვარ.

**ნესტორ.** მაგრამ აქ არა, წავიდეთ ბაღში. აკი გითხარით, იქ გეცდის მთვარე...

**ბაბო.** მოკაშკაშე, ბადრი მთვარე...

**ნესტორ.** დიახ, მოკაშკაშე... წავიდეთ!

(ბაბო და ნესტორ გავლენ).

(კოტე შემოდის და კუთხეში ჯდება).

(მალე ბაბო შემოვა, მას გაბო და სტუმრები მოჰყვებიან. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბაბო და გაბო ლაპარაკში არიან, ნესტორიც შემოდის).

**ბაბო.** ბატონო გაბო, ღმერთმანი არ მეხერხება, თორემ დიდის სიამოვნებით შეგისრულდებოდა თხოვნას.

**გაბო.** ბაბიკო, ყელი გამომჭერით, ის მირჩენია. ხომ ხედავთ ამდენ მწყურვალ ხალხს, გაგვაგონეთ, გაგვაგონეთ თქვენი პიანინოს ხმა!

**ბაბო.** ღმერთმანი, რა ვქნა, არ ვიცი. არ შემიძლიან რა ვქნა, თუ არ შემიძლია. და მერე იცი, ბატონო გაბო, მასწავლებელმა სასტიკად აღმიკრძალა საზოგადოებაში დაკვრა.

**გაბო.** ერთხელ რომ გადაუხვიოთ მასწავლებლის დარიგებას, მით არაფერი დაშავდება.

**ბაბო.** არა, როგორ შეიძლება.

**კოტე.** ფუფუნებაში...

**გაბო.** (აჩერებს) კოტე!..

**კოტე.** დაღუმდენ ბაგენი ჩემნი.

**გაბო.** აბა, ბაბიკო!

**ბაბო.** მე არ მიჯერებთ, მაშ ჰკითხეთ თეკლეს ან დათას. ისინიც ამასვე გეტყვიან.

**ხმები.** გთხოვთ! გთხოვთ!

**ბაბო.** რა სირცხვილში ვარ! რა ვქნა!

**დათა.** (შემოდის) უკაცრავად, მეგობრებო, სულ მიგატოვეთ, მაგრამ ცოტა უსიამოვნება შეგვემთხვა.

**გაბო.** როგორ?

**ხმები.** რა იყო? რა უსიამოვნება?

**დათა.** დიდი კი არაფერი, თეკლეს რაღაც გულზე მოადგა და სუნთქვა შეეკრა.

**კოტე.** ეხლა ხომ კარგად არის?

**დათა.** ეხლა კვლავ კარგად არის.

**თეკლე.** (შემოდის).

**კოტე.** თეკლე, შეუძლოთა ხართ?

**თეკლე.** არა, ეხლა მშვენივრად ვგრძნობ თავს. რაღაც სისულელე იყო. ეს მეორედ მომდის ასე. დათიკოს დღეობაზე უსათუოდ უნდა შემემთხვას რამე. ხომ იცი, დათიკო, მესამე რიცხვი საფათერაკოა. შენი მესამე დღეობა, იქნებ, ჩემთვის უკანასკნელიც შეიქნას.

**დათა.** ეს ხომ ცრუმორწმუნეობაა. (ხელს უჭერს) ჩემს თეკლეს კარგი ხანია ასეთი სისულელე აღარ სწამს. (იქვე სავარძელში დასვა).

**თეკლე.** რა საკვირველია, მე ხომ ვხუმრობ.

**ბაბო.** (თეკლეს წინ მუხლებზე დგება) თეკლე, შენ გაფითრებული ხარ, შენ ეხლაც შეუძლოთა ხარ.

**თეკლე.** (ბაბოს თმებზე ხელს გადაუსვამს) უჰ, რა მშინაა ხარ, ბაბიკო. რამ გამაფითრა. (ბაბო აღდება) დათიკო, ძალიან უხეირო მასპინძლები ვართ შეხედე, როგორ მოწყენილია ჩვენი სტუმრები!

**გაბო.** ბაბიკომ გაგვაჯავრა და რასაკვირველია მოწყენილი ვართ.

**ბაბო.** ბატონო გაბო, დამცინით კიდევ.

**გაბო.** სადაური დაცინვაა. მთელი საზოგადოება მუხლ-მოდრეკით სთხოვს პიანინოზე დაუკრას და ბაბიკო ჩალათაც არ აგდება.

**ბაბო.** შენ თვითონ თქვი, თეკლე, განა ღკრძალული არა მაქვს?

**თეკლე.** არაფერია, ბაბიკო, ძვირფასი სტუმრებისათვის უნდა დაუკრა.

**გაბო.** ვაშა!

**ხმები.** ვაშა! ვაშა!

**კოტე.** ფუფუნებაში...

**გაბო.** (კოტეს ბაგეზე ხელს მიაფარებს) მაშ აგრე, ბაბიკო დაუკრავს და შემდეგ ჩვენც გზას გაუდგებით.

**ბაბო.** (დათას უყურებს).

**გაბო.** იმედია, დათაც დაადსტურებს თეკლეს სიტყვებს.

**დათა.** რა თქმა უნდა. (ყველანი ემხადებიან სასმენლად. დასხდნენ ჯგუფებად).

**ბაბო.** (უგულოთ მიუჯდება პიანინოს. ნოტებს ათვალეირებს).

**კოტე.** დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იქცა საქმედ...

**ბაბო.** ბატონო კოტე, თქვენ მუდამ დამცინით. თქვენ ასე გგონიათ, რომ მე არაფერი გამეგება. (საერთო სიჩუმეა. ნესტორი ფანჯარასთან მიდის).

**კოტე.** უკაცრავად, მიაპტიეთ. (ბაბოს შერცხვება).

**დათიკო.** ვაშა, ვაშა, ბაბიკო!

**თეკლე.** ბაბიკო, დაუკარი!

**გაბო.** ბეთჰოვენის სონატა მონახეთ, ბაბო!

**ბაბო.** კარგი, ბატონო გაბო.

**ნესტორ.** მე ბაღში წავალ, ბაბიკო, და თქვენს მაგიერ მთვარეს გაეანდობ იმ ზღაპარს.

**ბაბო.** როგორ თუ ჩემს მაგიერ? მე ეხლავე წამოვალ. სულ ხუთი წუთი.

**დათა.** (ნესტორს) რა ზღაპარზე ამბობ?

**ნესტორ.** ეს ბაბომ იცის. (ბაბოს) ვეცდები, თქვენი პიანინოს ხმა არ მომესმას ბაღში, ამისათვის ფანჯრებსაც დავხურავ. (ფანჯრებს ხურავს. უხერხულობა და გამოურკვევლობაა. ცოტა ხნით სიჩუმეა).

**დათა.** საკვირველია, თითქოს სტუდენტი კი არა, მეოთხე კლასის გიმნაზიელი იყო.

**ნესტორ.** უმფროსი ძმა ხარ და არ მინდა გაწყენინო, მაგრამ უნდა გითხრა, რომ ძალიან მოუხერხებელი და უალაგოა შენი სიტყვები.

**დათა.** შენი საქციელი ხომ უფრო მეტად მოუხერხებელი და უალაგოა.

**თეკლე.** (ნესტორს მისჩერებია).

**ნესტორ.** (თეკლეს თვალს მოჰკრავს) წრფელის გულით ვიხდი ბოდიშს.

**თეკლე.** მე არაფერს გისაყვედურებთ.

**გაბო.** ვერ გამიგია, რა მოხდა. ნუ თუ მე ავსტებე ეს აურზაური!

**ნესტორ.** ბატონებო, ყველას წინაშე მოვითხოვ ბოდიშს, მაგრამ მე არ მინდა მოვისმინო ბაბიკოს მუსიკა და მივდივარ. ნუ თუ ამის უფლება არა მაქვს?

**კოტე.** გზა სიამოვნებისა, ბატონო.

**ნესტორ.** გმადლობთ.

**დათა.** ბაბოსათვის სულ ერთი უნდა იყოს, ბატონ ნესტორს ჰსურს თუ არა მუსიკის მოსმენა. ბაბიკო, დაუკარი!

**ნესტორ.** არ ვიცი. ამას თვითონ ბაბიკო გადასწყვეტს.

(გაღის).

**ბაბო.** (წამოდგება. მიიხედ-მოიხედავს, გაფითრებულია. არ იცის, როგორ მოიქცეს. შემდეგ დარცხვენილი სწრაფად გაღის იმ კარებით, რომელითაც ნესტორი გავიდა. უხერხულობა და სიჩუმეა).

**კოტე.** ბრავო! (მაშინვე გაჩუმდება, რადგან მიხვდება ოხუნჯობის უადგილობას. ერთი-ორი სტუმართაგანი გაიცინებს, ისინიც იმ წამსვე შესწყვეტენ სიცილს და საერთო იღუმალი სიჩუმე ჩამოვარდება).

**გაბო.** ღროა, ბატონებო, ბინა მოვნახოთ. (თეკლეს) დიდი, უღრმესი მაღლობა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ (დათას) მშვიდობით, დათიკო. გისურვებ, მრავალ ჯერ გედღესასწაულებინოს შენი დაბადების დღე.

**დათა.** (ფიქრებშია. გაბოს არ უსმენს).

**გაბო.** დავით!

**დათა.** (ვაშირკვევა) აჰა! ჰო, მართლა, პარასკევს შენი პირველად გამოსვლის დღეა. აბა შენ იცი, როგორ მოემზადები. სასამართლოში პირველად საქმის დაცვა ბევრს ნიშნავს მომავლისათვის. შეიძლება მეც დავესწრო, მაგრამ არ ღირს.

**გაბო.** წარმოიდგინე, ეჭვი არა მაქვს, რომ მოვიგებ. თუმცა პირველად გამოვიდივარ, მაგრამ საქმე იმდენად მარტივია, რომ არა მეგონია წავაგო.

**დათა.** აბა, ეცადე, ეცადე. იქონიე მხედველობაში, რომ ხანდახან იმდენი ახალი საბუთები გამოჩნდება ხოლმე სასამართლოში, რომ ყველაფერი არივ-დაირვეა.

**გაბო.** ვეცდები (დათას ემშვიდობება) ჩემსკენ ვინ მოდის? (დანარჩენებიც ემშვიდობებიან დათას და თეკლეს და გაბოსთან ერთად გადიან. რჩება კოტე).

(შემდეგი იქნება).

სიო ჭანტურიშვილი.